

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მედიცინის სხვადასხვა დარგში არსებობს ნომოლოგიები, რომლებიც იწვევენ ხანგრძლივ შრომისუნარობას, თუმცა ამ პათოლოგიური პროცესების ალაგების შემდეგ ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელია და ინარჩუნებს შრომის უნარს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქრონიკულ დაავადებათა გამწვავებისას მკურნალობისათვის 30 კალენდარული დღე, (ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა 50 კალენდარულ დღე) არც თუ ისე დიდი პერიოდია.

გემოალნიშნულიდან გამომდინარე, არსებული ნორმა, თუნდაც მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისით, საკმაოდ მკაცრია, რაც განაპირობებს კანონპროექტის მიღებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო დონეზე უმრუნველყოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლების დადგენა დროებითი შრომისუნარობის დროს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს დროებითი შრომისუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 120 კალენდარულ დღეს, ან 1 წლის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 150 კალენდარულ დღეს.

აგრეთვე განსაზღვრულია, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეიძლება გახდეს ხანგრძლივი შრომისუნარობა – თუკი შრომისუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 120 კალენდარულ დღეს, ან 1 წლის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 150 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს მოქმედი კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული შევებულება.

ბ) კანონპროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების

გაანგარიშება:

ბ.ა) კანონპროექტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღების შემდეგ გასაწვეი საფინანსო ხარჯების წყაროს არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, შესაბამისად კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებში ცვლილებების შეტანას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, შესაბამისად კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებში ცვლილებების შეტანას.

ბ.დ) სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების საკითხი:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის ფინანსური მემოქმედება იმ პირობებში, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული არ იქნება ფინანსური ცვლილებები ან მდგომარეობის გაუარესება იმ პირობათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ვ) გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები:

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან, ევროკავშირის დირექტივებთან და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე პირები და განხორციელებული კონსულტაციები:

დ.ა)-დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდნენ:

1. თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტი;
2. აკად. ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი;
3. შ.პ.ს. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკა "სინთეზი";
4. ნ. ყიფშიძის სახელობის რესპ. ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო;
5. ს/ს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი;
6. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლ. იმუნოლოგიის ცენტრი;
7. თერმული დაზიანებისა და ალდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამედიცინო პროფ. ცენტრი;
8. თერაპიის ერპენული ცენტრი

დ.გ) კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი მანანა ჯებაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.